

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის  
საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

ქ. თელავი

05. 08. 2020

თავმჯდომარეობდა : ა. თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნელი აბეჩხრიშვილი, ელენე ღარიბაშვილი, ლევან ლილუაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, მალხაზ ყურბანოვი, თამილა ბაწაშვილი, გელა აზიკური.

სხდომას ასევე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ფიქრია ყუშიტაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მიმოხილვა.
2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროცესში თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით გასათვალისწინებელი პროგრამების სამუშაო ვარიანტების წარდგენა.

მოისმინეს: საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მიმოხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხებამდე, არჩილ თხლაშიძემ ისაუბრა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის შედეგებზე, რომელმაც ნათლად დაგვანახა, რომ არსებულ სიტუაციას განსხვავებული გავლენა ქონდა ქალებსა და კაცებზე.

ასევე მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა განსხვავებული საჭიროებების გამოკვეთა და არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინება.

ნ. აბეჩხრიშვილმა მიმოხილა 2020 წლის თებერვალი - აგვისტოს პერიოდში საბჭოს მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ მან აღნიშნა, რომ პანდემიის დროს გენდერულმა თანასწორობის საბჭომ, „ქალთა ოთახთან“ კოორდინირებული მუშაობით მოახლეთობაში გაავრცელა ინფორმაცია პანდემიასთან დაკავშირებით ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე.



მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე დაემატა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია.

**ნ. აბეჩხრიშვილი** აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთ-ერთი მთავარ ამოცანად რჩება ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. მან ისაუბრა ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. (შეხვედრა მეწარმე ქალთა საბჭოს წარმომადგენელთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირების და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით და ონლაინ ტრენინგ კურსი შიდა ტურიზმის განვითარების შემდგომ პერსპექტივებზე, შეხვედრა მსოფლიო ბანკის ექსპერტთან გენდერულ საკითხებში.)

**ნ. აბეჩხრიშვილი** ასევე, ისაუბრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ.

**თ. ბაწაშვილი** გააცნო საბჭოს წევრებს თელავის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგები „ქალების არსებული პრობლემები თემში“. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული კვლევა ჩატარდა „სოფლის ქალები ადამიანის უფლებებისათვის და ქალთა ოთახისა და საბჭოს მხარდაჭერით“.

**გადაწყვეტეს:** ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

**მოსმინეს:** თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროცესში თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით გასათვალისწინებელი პროგრამების სამუშაო ვარიანტების წარდგენის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** **ა. თხლაშიძემ** საბჭოს წევრებს სთხოვა, აღნიშნულ საკითხზე აზრის დაფიქსირება.

**ნ. აბეჩხრიშვილი** წარმოადგინა წინადადება მუნიციპალიტეტში, შინმოვლის პროგრამის დანერგვის შესახებ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ამ სერვისის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხს.

**გ. მამუკელაშვილი** და **ელენე დარიბაშვილი** გამოეხმაურნენ და დადებითად შეაფასეს ხანდაზმულთა მუნიციპალიტეტში შინმოვლის პროგრამის ინიციატივა.

**ლ. ლილუაშვილი** წარმოადგინა წინადადება, საბჭოს მიერ 2019 წელს ინიცირებული - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართითა და სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის გათვალისწინების შესახებ, რადგან ეს პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია. საბჭომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ წინადადებას.

**გადაწყვეტის:** თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროცესში თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, წარდგენილ იქნას შემდეგი პროექტები:

1. უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართითა და სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ;
2. სოციალურად დაუცველი მარტოხელა , საწოლს ან სახლს მიჯაჭვული ხანდაზმულის შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ.

თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე